

საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები საქართველოში

მარიამ ელიზბარაშვილი

ელ-ფოსტა: Mariam.elizbarashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
1, ი. ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველოსათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული მრავალფეროვნება საშიშიში, მათ შორის კატასტროფული მეტეოროლოგიური მოვლენების, რომლებიც ხშირად იწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, აგრეთვე ადამიანთა მსხვერპლს. ეს საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები ხშირად ერთდროულად წარმოიშობა და ამძაფრებს ვითარებას. მაგალითად, ძლიერი ქარი თავსხმა წვიმის დროს, ნისლი ქარბუქის დროს, ქარიშხალი სეტყვის დროს და ა.შ., ამგვარი მოვლენების უარყოფითი შედეგების შესამცირებლად, საჭიროა მათი განხორციელების ფიზიკური პროცესის ცოდნა.

საქართველოში ყველაზე საშიშია კატასტროფული მეტეოროლოგიური მოვლენების შემდეგი კომბინაციები:

- თავსხმა ნალექები - ძლიერი ქარი (R50-Hu);
- თავსხმა ნალექები – საშიში ნისლი (R50-Fd);
- სეტყვა – ძლიერი ქარი (Ha - Hu);
- სეტყვა – საშიში ნისლი (Ha-Fd);
- ძლიერი ქარი – საშიში ნისლი (Hu-Fd);
- ქარბუქი – საშიში ნისლი (B-Fd);

სადაც R50 - არის თავსხმა ნალექი, როდესაც ყოველდღიური ნალექები აღემატება 50 მმ-ს, Ha-სეტყვა და Hu - ქარიშხალი, როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 32 მ/წმ-ს, B - ქარბუქი და Fd- საშიში ნისლი, როდესაც ხილვადობის მაჩვენებელი 50 მ-ზე ნაკლებია.

საშიში, ან კატასტროფული მეტეოროლოგიური მოვლენების, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან, წარმოქმნის ფიზიკურ პროცესს სტოქასტიკური ხასიათი აქვს, ამიტომ ის შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შემთხვევითი პროცესი ალბათობის თეორიაში ცნობილი გამრავლებისა და შეკრების თეორემების საფუძველზე. ამ თეორემების გამოყენებით, საქართველოში რამოდენიმე მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების საფუძველზე შესწავლილია საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების სხვადასხვა კომბინაციების რეალიზაციის სტოქტიკური პროცესი.

ლიტერატურა

[1] E.Sh. Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Natural meteorological phenomena in the territory of Georgia. (2012) 104.

[2] M. Elizbarashvili, E.Elizbarashvili, Modeling of Stochastic Process of Implementation of Various Combinations of Dangerous Meteorological Phenomena in the Mountains of the Caucasus. Ankara Üniversitesi Çevre Bilimleri Dergisi, 7(2), 1-7 (2019).